„ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი სალომე მელია

საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ქეთევან მუხაშარიას მემორიალი

ქ. ბათუმი, 8 მარტი, 2024 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;

ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი: აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

ჩატარების ადგილი: მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე, მის: ლეონიძის 15

ჩატარების სისტემა:

ჩემპიონატი ჩატარდება 2 კატეგორიად:

A) ქალთა ტურნირი, რომელთაც არ გააჩნიათ ფიდეს რეიტინგი და ფედერაციის მიერ ნომინირებული მონაწილეები;
B) ბლიც ტურნირი 16 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის;

ტურნირები გაიმართება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

მონაწილენი:

საქართველოსა და მსოფლიოს საჭადრაკო ორგანიზაციის წევრი სპორტსმენები.

დროის კონტროლი: ორივე კატეგორიაში თითოეულ მონაწილეს მიეცემა 5 წუთი პარტიის ბოლომდე, თითოეულ სვლაზე 5 წამის დამატებით;

თაი-ბრეიქი: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ანკეტა:
https://forms.gle/5kTAokHj8Jpxcf6j7

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 7 მარტი, 19:00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

ტურნირის განრიგი:

გახსნა	8 მარტი	12:30 სთ.
I ტური	8 მარტი	13:00 სთ.
II ტური	8 მარტი	13:20 სთ.
III ტური	8 მარტი	13:40 სთ.
IV ტური	8 მარტი	14:00 სთ.
V ტური	8 მარტი	14:20 სთ.
VI ტური	8 მარტი	14:40 სთ.
VII ტური	8 მარტი	15:00 სთ.
დახურვა	8 მარტი	15:30 სთ.

საერთო წესები:

პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

გამარჯვებულები: A და B ტურნირში I, II, III საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით, ხოლო ჩემპიონი აგრეთვე თასით.

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია